



დასკვნა

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2025 წლის

რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტზე

(გადამუშავებული ვარიანტი)

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

შინაარსი

დასკვნა.....	5
1. რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტის ზოგადი მიმოხილვა.....	6
2. რესპუბლიკური ბიუჯეტის ბალანსი	7
3. რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობები	7
3.1 რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლები	8
3.2 არაფინანსური აქტივების კლება.....	10
4. რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელები.....	10
4.1 ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია.....	14
4.2 რესპუბლიკური ბიუჯეტის ასიგნებები.....	15
4.3 კაპიტალური პროექტები	17
5. რესპუბლიკური ბიუჯეტის სესხები.....	19
6. რესპუბლიკური ბიუჯეტის პროგრამული ფორმატი.....	20

**დასკვნა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2025 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტზე (გადამუშავებული ვარიანტი)**

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 102-ე მუხლისა და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეგლამენტის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „ა.გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ მომზადებულ იქნა დასკვნა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2025 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტით გათვალისწინებული შემოსულობებისა და გადასახდელების საფუძვლიანობისა და კანონიერების შესახებ.

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მე-100 მუხლით განსაზღვრულია ის ინფორმაცია, რომელსაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ კანონის პროექტი უნდა მოიცავდეს. ამავე მუხლის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის პროექტს თან ერთვის ავტონომიური რესპუბლიკის პრიორიტეტების დოკუმენტი, ასევე თანდართული მასალები მოიცავს:

- 1) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტის განმარტებით ბარათს, სადაც წარმოდგენილია ინფორმაცია ფისკალური მაჩვენებლების პროგნოზების შესახებ;
- 2) მიმდინარე წლის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების მოკლე მიმოხილვას;
- 3) წლიური საბიუჯეტო კანონის ამოქმედებისათვის საჭირო საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტს;
- 4) დამატებით ინფორმაციას ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამების/ქვეპროგრამების, მათი მოსალოდნელი შედეგებისა და შესრულების შეფასების ინდიკატორების შესახებ;
- 5) ინფორმაციას საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის მეთოდოლოგიით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად შერჩეული და შეფასებული იმ საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების შესახებ, რომელთა დასაწყებად ასიგნებები გათვალისწინებულია დასაგეგმი წლის ბიუჯეტში ან/და დასაგეგმის შემდგომი სამი წლის ფისკალურ მაჩვენებლებში.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის პასუხისმგებლობა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2025 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტთან დაკავშირებით

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მე-100 მუხლის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა პასუხისმგებელია „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2025 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტის, მისი თანდართული მასალების და ავტონომიური რესპუბლიკის პრიორიტეტების დოკუმენტის წარდგენაზე საბიუჯეტო კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად, მათ შორის, იმ დაშვებების განსაზღვრასა და განმარტებაზე, რომელსაც „აჭარის ავტონომიური

რესპუბლიკის 2025 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტით წარმოდგენილი ფინანსური ინფორმაცია ეყრდნობა.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახური პასუხისმგებელია მოამზადოს დასკვნა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2025 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტით გათვალისწინებული შემოსულობებისა და გადასახდელების საფუძვლიანობისა და კანონიერების შესახებ. დასკვნის მომზადება ემყარება სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებულ შემოწმების პროცედურებს, რომლებიც წარმართება მარწმუნებელი გარიგებების საერთაშორისო სტანდარტის 3400 „პერსპექტიული ფინანსური ინფორმაციის შემოწმება“ (ISAE 3400) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტი ითვალისწინებს შემოწმების დაგეგმვასა და წარმართვას იმგვარად, რომ მიღებულ იქნეს საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები იმის შესახებ:

- 1) უზრუნველყოფს თუ არა ის მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური და სხვა დაშვებები, რომლებსაც რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონპროექტით წარმოდგენილი ფინანსური ინფორმაცია ეყრდნობა, აღნიშნული ინფორმაციის სათანადო საფუძველს;
- 2) არის თუ არა რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონპროექტით წარმოდგენილი ფინანსური ინფორმაცია სათანადოდ მომზადებული არსებული დაშვებების საფუძველზე და კანონიერი მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით;
- 3) არის თუ არა რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონპროექტით წარმოდგენილი ინფორმაცია ფინანსური ანგარიშგების არსებული პრინციპების შესაბამისად წარდგენილი, ხოლო ყველა არსებითი დაშვება – ადეკვატურად განმარტებული თანდართულ მასალებში.

ჩატარებული შემოწმების პროცედურები შეირჩევა აუდიტორის პროფესიულ განსჯაზე დაყრდნობით. საყურადღებოა, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა არ ითვალისწინებს რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტით გათვალისწინებული გადასახდელების განაწილების შესახებ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დისკრეციული გადაწყვეტილებების შეფასებას.

დასკვნა

2024 წლის განმავლობაში გაგრძელებული დადებითი ეკონომიკური ტენდენციების შედეგად 10 თვის საშუალო ეკონომიკურმა ზრდამ 10.0% შეადგინა. 2025 წლის რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზრდის საპროგნოზო მაჩვენებელი კი 6.0%-ის დონეზეა განსაზღვრული.

რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონპროექტის გადამუშავებული ვერსიით, 2025 წელს შემოსულობები 800.1 მლნ ლარს, ხოლო გადასახდელები 880.1 მლნ ლარს შეადგენს და 2024 წლის გეგმასთან შედარებით ორივე იზრდება, შესაბამისად, 91.4 მლნ და 115.4 მლნ ლარით. შემოსულობების ზრდა ძირითადად განპირობებულია „შემოსავლების“ მუხლის 89.0 მლნ ლარით ზრდით, ხოლო გადასახდელების ზრდა ძირითადად უკავშირდება „ხარჯების“ მუხლის 91.9 მლნ ლარით ზრდას.

რეგიონში არსებული გეოპოლიტიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია ქვეყანაში ფისკალური დისციპლინის მდგრადობა და ფისკალური პოლიტიკის პასუხების სწორად განსაზღვრა. აქედან გამომდინარე, 2025 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონპროექტში, მიზანშეწონილია, გათვალისწინებულ იქნეს შემდეგი საკითხები:

- 1) ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებლები განისაზღვროს რეგიონში არსებული რესურსების, ბოლო წლების ტენდენციებისა და მოსალოდნელი პროგნოზების ანალიზის საფუძველზე;
- 2) მხარჯავი დაწესებულებების პროგრამების/ქვეპროგრამების ბიუჯეტების განსაზღვრის პროცესში გათვალისწინებულ უნდა იქნეს გასული და მიმდინარე წლების შესრულების ტენდენციები, ასევე დასაგეგმი წლისათვის მოსალოდნელი აქტივობების მასშტაბი და აღნიშნულზე დაყრდნობით განისაზღვროს მომდევნო წლისთვის საჭირო ფინანსური რესურსის მოცულობა, რათა ოპტიმალურად მოხდეს რესურსების გადანაწილება და დაგეგმილი ასიგნებების სრულად ათვისება;
- 3) მიუხედავად პროგრესისა, პროგრამული ბიუჯეტის და კაპიტალური პროექტების დანართები სისტემური ხარვეზებით ხასიათდება. ამ კუთხით მნიშვნელოვანია პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში მოსალოდნელი შედეგების გამართულობა, მათ შორის, ცხადი სამიზნე მაჩვენებლების არსებობა და ცდომილების ალბათობისა და შესაძლო რისკების განსაზღვრა, ასევე საინვესტიციო/კაპიტალური პროექტებისა და კაპიტალური ხარჯების ერთმანეთისგან გამიჯვნა და კონცეფციის ბარათების მეთოდოლოგიასთან შესაბამისობაში მოყვანა.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, გარდა დასკვნაში მოცემული შენიშვნებისა, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2025 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი სათანადოდ არის მომზადებული არსებული დაშვებების საფუძველზე, შესაძლებელია შეფასდეს საფუძვლიანად და კანონიერად მოქმედი ნორმატიული ბაზის გათვალისწინებით.

1. რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტის ზოგადი მიმოხილვა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2025 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონპროექტის გადამუშავებული ვერსიით 2025 წლის შემოსულობების პროგნოზი 800.1 მლნ ლარის, ხოლო გადასახდელების გეგმა 880.1 მლნ ლარის დონეზეა განსაზღვრული. მიმდინარე წელთან შედარებით ორივე მაჩვენებელი იზრდება, შესაბამისად, 91.4 მლნ და 115.4 მლნ ლარის ოდენობით. შემოსულობების ზრდა განპირობებულია „შემოსავლების“ მუხლის 89.0 მლნ ლარით და „არაფინანსური აქტივების კლების“ მუხლის 2.4 მლნ ლარით ზრდით, ხოლო გადასახდელების ზრდა ძირითადად უკავშირდება „ხარჯების“ მუხლის 91.9 მლნ ლარით ზრდას.



* დიაგრამაზე მოცემული კლების/ზრდის მაჩვენებლები წარმოადგენს 2025 წლის პარამეტრების შედარებას 2024 წლის ანალოგიურ მაჩვენებლებთან.

2025 წლის გადასახდელების გეგმური მაჩვენებელი შემოსულობებს აჭარბებს 80.0 მლნ ლარით. შესაბამისად, იგეგმება ბიუჯეტის ნაშთიდან 80.0 მლნ ლარის გამოყენება. წარმოდგენილი პროგნოზით, 2025 წლის ბოლოს რესპუბლიკური ბიუჯეტის ანგარიშზე თავისუფალი ნაშთი არ უნდა იყოს.

2. რესპუბლიკური ბიუჯეტის ბალანსი

2025 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონპროექტის გადამუშავებული ვერსიით, შემოსავლები – 685,100.0 ათასი ლარით, ხარჯები – 695,499.6 ათასი ლარით, არაფინანსური აქტივების ცვლილება კი, 49,601.6 ათასი ლარით განისაზღვრა. შესაბამისად, ბიუჯეტის საოპერაციო სალდო 2025 წლისთვის -10,399.6 ათას ლარს, ხოლო მთლიანი სალდო -60,001.2 ათას ლარს შეადგენს. წარმოდგენილი კანონპროექტით, გადასახდელების მნიშვნელოვანი ნაწილის – 80,000.0 ათასი ლარის დაფინანსება იგეგმება 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის ნაშთიდან.

ცხრილი 1. რესპუბლიკური ბიუჯეტის ბალანსი (ათასი ლარი)

დასახელება	2024 წლის გეგმა	2025 წლის პირველადი გეგმა	2025 წლის გადამუშ. გეგმა	2025 წლის გადამუშ./პირვე. ზრდა/კლება	ზრდა/კლება 2024-2024 წწ.	ზრდა/კლება 2024-2025 წწ. (%)
შემოსავლები	596,100.0	655,100.0	685,100.0	30,000.0	89,000.0	14.9%
ხარჯები	603,583.3	672,439.3	695,499.6	23,060.3	91,916.3	15.2%
საოპერაციო სალდო	-7,483.3	-17,339.3	-10,399.6	6,939.7	-2,916.3	39.0%
არაფინანსური აქტივების ცვლილება	28,737.9	42,661.9	49,601.6	6,939.7	20,863.7	72.6%
მთლიანი სალდო	-36,221.1	-60,001.2	-60,001.2	-	-23,780.1	65.7%
ფინანსური აქტივების ცვლილება	-55,950	-80,000.0	-80,000.0	-	-24,049.8	43.0%
ვალდებულებების ცვლილება	-19,729.1	-19,998.8	-19,998.8	-	-269.7	1.4%
ბალანსი	0	0	0			
2024 წლის დასაწყისისათვის ბიუჯეტის ანგარიშზე არსებული ნაშთი						55,990.7
ნაშთი 2024 წლის 30 ნოემბრის მდგომარეობით						137,647.6

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლები ნაშთის შემცირების ტენდენციით გამოირჩეოდა, რესპუბლიკური ბიუჯეტის წარმოდგენილი კანონპროექტით, 2024 წლის ბოლოს ნაშთი არანაკლებ 80,000.0 ათას ლარამდე იზრდება. ამასთანავე, 2024 წლის 30 ნოემბრის მდგომარეობით არსებული ნაშთის მოცულობის (137,647.6 ათასი ლარი) გათვალისწინებით, 2024 წლის ბოლოს ნაშთის საპროგნოზო მოცულობით ათვისების ალბათობა დაბალია.

3. რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობები

2025 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის გადამუშავებული პროექტით შემოსულობების საპროგნოზო მოცულობა შეადგენს 800,100.0 ათას ლარს, რაც 2024 წლის ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ წლიურ მაჩვენებელს – 91,350.0 ათასი ლარით, ანუ 12.9%-ით, ხოლო 2025 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონპროექტის პირველადი ვარიანტით განსაზღვრულ წლიურ მაჩვენებელს – 30,000.0 ათასი ლარით, ანუ 3.9%-ით აღემატება.

2024 წელთან მიმართებით, შემოსულობების სტრუქტურაში ზრდის ტენდენციით გამოირჩევა როგორც შემოსავლები, რომელიც 89,000.0 ათასი ლარით, ანუ 14.9%-ით იზრდება, ასევე არაფინანსური აქტივების კლების კომპონენტი, რომელიც 2,350.0 ათასი ლარით, ანუ 2.1%-ით იზრდება. 2025 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონპროექტით არ იგეგმება ვალდებულებების ზრდა.

ცხრილი 2. შემოსულობები კომპონენტების მიხედვით (ათასი ლარი)

დასახელება	2024 წლის გეგმა	2024 წლის 11 თვის ფაქტი	2024 წლის 11 თვის შესრულება (%)	2025 წლის პირველადი გეგმა	2025 წლის გადამუშ. გეგმა	2025 წლის გადამუშ./პირვ. ზრდა/კლება	2024-2025 წწ. ზრდა/კლება	2024-2025 წწ. ზრდა/კლება (%)
შემოსავლები	596,100.0	570,789.0	95.8%	655,100.0	685,100.0	30,000.0	89,000.0	14.9%
არაფინანსური აქტივების კლება	112,650.0	20,793.5	18.5%	115,000.0	115,000.0	-	2,350.0	2.1%
შემოსულობები	708,750.0	591,582.5	83.5%	770,100.0	800,100.0	30,000.0	91,350.0	12.9%

3.1 რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლები

შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი 2025 წლისთვის 685,100.0 ათას ლარს შეადგენს. მიმდინარე წლის პროგნოზირებულ მაჩვენებლებთან შედარებით, „გადასახადების“ კომპონენტი - 85,000.0 ათასი ლარით (14.8%-ით), „სხვა შემოსავლების“ კომპონენტი კი 4,000.0 ათასი ლარით (19.0%-ით) იზრდება. ამასთანავე, 2025 წელს, ისევე როგორც 2024 წელს, „გრანტების“ კომპონენტში შემოსავლების მიღება დაგეგმილი არ არის.

რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლების ძირითადი წყარო გადასახადებია, კერძოდ, საშემოსავლო გადასახადი, რომლის საპროგნოზო მაჩვენებელი, ბიუჯეტის გადამუშავებული კანონპროექტით 660,000.0 ათასი ლარით არის განსაზღვრული, რაც 85,000.0 ათასი ლარით, ანუ 14.8%-ით აღემატება 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ გეგმურ მაჩვენებელს. წარმოდგენილი ინფორმაციით, საშემოსავლო გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ განსაზღვრული პარამეტრის საფუძველზე.

ცხრილი 3. შემოსავლები კომპონენტების მიხედვით (ათასი ლარი)

შემოსავლები	2024 წლის გეგმა	2024 წლის 11 თვის ფაქტი	2024 წლის 11 თვის შესრულება (%)	2025 წლის პირველადი გეგმა	2025 წლის გადამუშ. გეგმა	2025 წლის გადამუშ./პირვ. ზრდა/კლება	2024-2025 წწ. ზრდა/კლება	2024-2025 წწ. ზრდა/კლება (%)
გადასახადები	575,000.0	554,662.4	96.5%	630,000.0	660,000.0	30,000.0	85,000.0	14.8%
სხვა შემოსავლები	21,100.0	16,126.6	76.4%	25,100.0	25,100.0	-	4,000.0	19.0%
სულ შემოსავლები	596,100.0	570,789.0	95.8%	655,100.0	685,100.0	30,000.0	89,000.0	14.9%

„სხვა შემოსავლების“ მუხლის 2025 წლის საპროგნოზო მაჩვენებელი 25,100.0 ათასი ლარია. ამ კუთხით შემოსავლების ყველაზე მსხვილი კომპონენტია პროცენტები (17,946.2 ათასი ლარი). პროცენტების სახით მისაღები შემოსავლების პროგნოზი მიმდინარე წელთან შედარებით


იზრდება 3,240.1 ლარით (22.0%-ით), რაც დაკავშირებულია რესპუბლიკური ბიუჯეტის ანგარიშზე ნაშთის ზრდის პროგნოზთან.

ცხრილი 4. სხვა შემოსავლები კომპონენტების მიხედვით (ათასი ლარი)

დასახელება	2024 წლის გეგმა	2024 წლის 11 თვის ფაქტი	2024 წლის 11 თვის შესრულება (%)	2025 წლის გეგმა	2024-2025 წწ. ზრდა/კლება	2024-2025 წწ. ზრდა/კლება (%)
შემოსავლები საკუთრებიდან	15,632.0	10,977.1	70.2%	19,263.7	3,631.7	23.2%
პროცენტები	14,706.1	9,267.3	63.0%	17,946.2	3,240.1	22.0%
დივიდენდები	-	-		100.0	100.0	
რენტა	925.8	1,709.8	184.7%	1,217.5	291.7	31.5%
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	448.0	1,548.3	345.6%	826.3	378.3	84.4%
სანქციები (ჯარიმები და საურავები)	20.0	7.4	37.1%	10.0	-10.0	0%
ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	5,000.0	3,593.8	71.9%	5,000.0	-	0%
სხვა შემოსავლები:	21,100.0	16,126.6	76.4%	25,100.0	4,000.0	19.0%

2025 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონპროექტით, 100.0 ათასი ლარის ნიშნულზეა განსაზღვრული დივიდენდების სახით მისაღები შემოსავლები. აღსანიშნავია, რომ 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით დივიდენდების სახით შემოსავლების მიღება დაგეგმილი არ არის. გასათვალისწინებელია, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წილობრივი მონაწილეობით მოქმედი 31 საწარმოდან,¹ 2021-2023 წლებში დივიდენდებს რეგულარულად იხდიდა 3 საწარმო, ჯამურად საანგარიშო წელს, არანაკლებ, 600.0 ათასი ლარის ოდენობით. ამასთანავე, ბოლო პერიოდში დივიდენდების გადამხდელი საწარმოების პრივატიზება არ განხორციელებულა, ასევე მათი საქმიანობის სფერო და მოგება-ზარალის დინამიკა არსებითად არ შეცვლილა. არსებული რესურსების გათვალისწინებით, შესაძლებელია ამ კომპონენტში შემოსავლების საპროგნოზო მოცულობის გაზრდა.

დიაგრამა 1. რესპუბლიკური ბიუჯეტის დივიდენდები 2021-2023 წწ. (ათასი ლარი)



¹ მოწოდებული ინფორმაციით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წილობრივი მონაწილეობით მოქმედ 3 საწარმოში მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება, ხოლო 3 საწარმო გადაცემულია მართვის უფლებით.

3.2 არაფინანსური აქტივების კლება

2025 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონპროექტით „არაფინანსური აქტივების კლების“ მუხლით მისაღები შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი 115,000.0 ათასი ლარით არის განსაზღვრული, რაც 2,350.0 ათასი ლარით (2.1%-ით) აღემატება 2024 წლის გეგმურ მაჩვენებელს, 3.1-ჯერ – 2023 წლის ფაქტს და 3.3-ჯერ – 2022 წლის ფაქტს. აღსანიშნავია, რომ 2024 წლის 11 თვეში „არაფინანსური აქტივების კლების“ მუხლიდან რესპუბლიკურ ბიუჯეტში მობილიზებულ იქნა 20,793.5 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 18.5%-ია. გამომდინარე იქიდან, რომ საპრივატიზებო აქტივების მოცულობა ბოლო პერიოდში არსებითად არ შეცვლილა, არაფინანსური აქტივების კლებით მისაღები შემოსულობების ასეთი მოცულობით დაგეგმვა მეტ დასაბუთებას საჭიროებს.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსაზრებით, მნიშვნელოვანია ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებლები განისაზღვროს ბოლო წლების ტენდენციებისა და მოსალოდნელი პროგნოზების ანალიზის საფუძველზე.

4. რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელები

2025 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონპროექტის გადამუშავებული ვარიანტით გადასახდელების წლიური გეგმა 880,100.0 ათასი ლარის დონეზეა განსაზღვრული და 15.1%-ით იზრდება 2024 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით. კანონპროექტით დაგეგმილია გადასახდელების ყველა კომპონენტის ზრდა: „ხარჯების“ მუხლი იზრდება 91,916.3 ლარით (15.2%-ით), „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლი – 23,213.7 ათასი ლარით (16.4%-ით), ხოლო „ვალდებულებების კლების“ მუხლი – 269.7 ათასი ლარით (1.4%-ით).

2025 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონპროექტის გადამუშავებული ვარიანტით გადასახდელების წლიური გეგმა კანონპროექტის პირველადი ვარიანტით განსაზღვრულ წლიურ მაჩვენებელს 30,000.0 ათასი ლარით, ანუ 3.5%-ით აღემატება.

ცხრილი 5. რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელების კომპონენტების დინამიკა (ათასი ლარი)


დასახელება	2024 წლის გეგმა	2024 წლის 11 თვის ფაქტი	2024 წლის 11 თვის შესრულება (%)	2025 წლის პირველადი გეგმა	2025 წლის გადამუშ. გეგმა	2025 წლის გადამუშ./პირვ. ზრდა/კლება	2024-2025 წწ. ზრდა/კლება	2024-2025 წწ. ზრდა/კლება (%)
ხარჯები	603,583.3	428,170.8	70.9%	672,439.3	695,499.6	23,060.3	91,916.3	15.2%
არაფინანსური აქტივების ზრდა	141,387.9	63,317.3	44.8%	157,661.9	164,601.6	6,939.7	23,213.7	16.4%
ვალდებულებების კლება	19,729.1	18,437.4	93.5%	19,998.8	19,998.8	-	269.7	1.4%
სულ გადასახდელები	764,700.2	509,925.5	66.7%	850,100.0	880,100.0	30,000.0	115,399.8	15.1%

მიმდინარე წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით ხარჯების მუხლის მოცულობითი ზრდა ძირითადად გამოწვეულია გრანტების ხარჯების - 58,234.0 ათასი ლარით, ანუ 19.5%-ით და სხვა ხარჯების 11,657.7 ათასი ლარით, ანუ 13.3%-ით ზრდით. მათ შორის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებზე გადასაცემი კაპიტალური და სპეციალური ფინანსური დახმარების მოცულობა იზრდება 57,000.0 ათასი ლარით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების დაფინანსება- 11,941.5 ათასი ლარით.


ცხრილი 6. რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯების დინამიკა (ათასი ლარი)

დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა	2025 წლის პირველადი გეგმა	2025 წლის გადამუშ. გეგმა	2025 წლის გადამუშ./პირვ. ზრდა/კლება	2024-2025 წწ. ზრდა/კლება	2024-2025 წწ. ზრდა/კლება (%)
შრომის ანაზღაურება	52,235.7	63,118.3	72,677.9	73,087.5	409.6	9,969.2	15.8%
საქონელი და მომსახურება	70,630.8	88,120.8	91,682.7	92,842.3	1,159.7	4,721.5	5.4%
პროცენტი	859.4	2,057.3	5,241.9	5,241.9	-	3,184.6	154.8%
სუბსიდიები	13,131.3	17,107.5	17,078.0	17,388.6	310.6	281.0	1.6%
გრანტები (გაცემული)	210,264.0	298,434.6	341,634.6	356,668.6	15,034.0	58,234.0	19.5%
სოციალური უზრუნველყოფა	45,680.3	47,192.5	50,902.3	51,060.8	158.6	3,868.4	8.2%
სხვა ხარჯები	30,077.0	87,552.2	93,221.9	99,209.8	5,987.9	11,657.7	13.3%
სულ ხარჯები:	422,878.5	603,583.3	672,439.3	695,499.6	23,060.3	91,916.3	15.2%

დიაგრამა 2. 2025 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონპროექტით განსაზღვრული „ხარჯების“ მუხლის სტრუქტურა (ათასი ლარი)



დიაგრამა 3. 2025 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონპროექტით განსაზღვრული „ხარჯების“ მუხლის თითოეული კომპონენტების წილის დინამიკა - 2022-2025 წლები



რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონპროექტით განსაზღვრული ცალკეული პროგრამების/ქვეპროგრამების შემთხვევაში, სხვაობა მიმდინარე წლის ათვისების ტენდენციასა და მომავალი წლის დაფინანსების მოცულობას შორის შესაძლებელია დაკავშირებული იყოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დისკრეციულ გადაწყვეტილებებთან, თუმცა, გადასახდელების დაგეგმვისას, სხვა მიზეზებთან ერთად, მიზანშეწონილია, გათვალისწინებულ იქნეს გასული და მიმდინარე წლების შესრულების ტენდენციები, რათა დასაგეგმი საბიუჯეტო წლისთვის უზრუნველყოფილ იქნეს საბიუჯეტო სახსრების ეფექტიანი გამოყენება და დაგეგმილი ასიგნებების სრულად ათვისება.

ცხრილი 7. 2024 წლის 11 თვის მდგომარეობით, წლიურ გეგმასთან 50%-ზე დაბალი ათვისების მქონე ზოგიერთი პროგრამა/ქვეპროგრამა, რომელთა ასიგნებებიც იზრდება ან იმავე დონეზე ნარჩუნდება 2025 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონპროექტით (ათასი ლარი)

კოდი	პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება	2024 წლის გეგმა	2024 წლის 11 თვის ფაქტი	2024 წლის 11 თვის შესრულება	2025 წლის გეგმა	ზრდა 2024-2025 წწ.
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო						
04 01 03	ქალაქმშენებლობითი და სივრცითი მოწყობის პროგრამა	5,650.8	2,303.7	40.8%	7,561.0	1,910.2
04 01 03	აჭარის ტერიტორიაზე არსებული მთის კურორტებისა და სარეკრეაციო ადგილების განვითარება	4,160.8	1,484.1	35.7%	5,936.0	1,775.2
04 01 04	სოციალური და სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფის პროგრამა	16,843.9	4,062.8	24.1%	30,000.0	13,156.1
04 01 05	მცირე და საშუალო ტურისტული ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამა	100.0	-	0%	100.0	-
04 14 02	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა	58,525.0	28,638.0	48.9%	62,009.0	3,484.0
04 14 02 01	გზების რეაბილიტაცია	21,481.3	8,759.0	40.8%	31,609.0	10,127.7
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურის და სპორტის სამინისტრო						
05 10 02	უმაღლესი განათლების ხელშეწყობა	640.0	235.8	36.8%	655.0	15.0
05 10 03	ტექნიკური, საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარული მიმართულებების ხელშეწყობა	60.0	2.0	3.3%	60.0	-
05 14 10 02	კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება და განვითარება	5,591.6	1,882.8	33.7%	6,091.6	500.1
05 14 15	კულტურის დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება	2,661.3	-	0%	3,520.0	858.7
05 18 06 03	კარიერული განვითარებისა და ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა	308.0	120.0	39.0%	414.3	106.34
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო						
06 10 05	კვალიფიკაციის ამაღლება არაფორმალური განათლების გზით	42.0	-	0%	42.0	-
06 10 10	დასაქმებისა და თვითდასაქმების ხელშეწყობა	35.0	3.6	10%	100.0	65.0
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო						
07 05 05	ადგილობრივად წარმოებული პროდუქციის პოპულარიზაცია.	60.0	23.2	38.7%	70.0	10.0
07 12 07	ბათუმის კონცხის წყალქვეშა ფერდის განტვირთვის სამუშაოები	350.0	-	0%	3,414.7	3,064.7

4.1 ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია


2024 წლის გეგმურ მაჩვენებლებთან მიმართებით, 2025 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონპროექტის გადამუშავებული ვერსიით ყველა სფეროს დაფინანსება იზრდება.

ცხრილი 8. ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია (ათასი ლარი)

დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა	2025 წლის პირველადი გეგმა	2025 წლის გადამუშ. გეგმა	2025 წლის გადამუშ./პირვ. ზრდა/კლება	2024-2025 წწ. ზრდა/კლება	2024-2025 წწ. ზრდა/კლება (%)
საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	249,510.4	389,664.1	443,403.1	465,398.2	21,995.1	75,734.1	19.4%
ეკონომიკური საქმიანობა	90,146.3	120,677.5	123,041.7	127,595.5	4,553.8	6,918.0	5.7%
გარემოს დაცვა	6,551.7	4,157.4	6,497.8	7,011.0	513.2	2,853.6	68.6%
საბინაო კომუნალური მეურნეობა	7,880.5	17,000.0	30,000.0	30,000.0	-	13,000.0	76.5%
ჯანმრთელობის დაცვა	38,664.3	45,430.8	48,982.6	48,264.4	(718.2)	2,833.6	6.2%
დასვენება, კულტურა და რელიგია	44,498.6	62,024.9	65,288.0	66,015.7	727.7	3,990.8	6.4%
განათლება	71,011.1	90,192.1	96,370.5	98,580.8	2,210.3	8,388.7	9.3%
სოციალური დაცვა	15,860.2	15,824.3	16,517.5	17,235.6	718.1	1,411.3	8.9%
სულ:	524,123.2	744,971.1	830,101.2	860,101.2	30,000.0	115,130.1	15.5%

დიაგრამა 4. ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური სტრუქტურა (პროცენტი)

- საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება
- ეკონომიკური საქმიანობა
- გარემოს დაცვა
- საბინაო კომუნალური მეურნეობა
- ჯანმრთელობის დაცვა
- დასვენება, კულტურა და რელიგია
- განათლება
- სოციალური დაცვა



ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის სტრუქტურის ანალიზი პრიორიტეტების მიხედვით ცხადყოფს, რომ 2025 წლისთვის შენარჩუნებულია ფუნქციონალური კლასიფიკაციის შესაბამისად გასაწევი ხარჯების პრიორიტეტული მიმართულებები. კერძოდ, 2025 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის გეგმური მაჩვენებლების შესაბამისად, გადასახდელების უდიდესი წილი (88.1%) 4 ძირითადი პრიორიტეტის დასაფინანსებლად არის მიმართული:

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება – 54.1%, ეკონომიკური საქმიანობა – 14.8%, განათლება – 11.5% და დასვენება, კულტურა და რელიგია – 7.7%. დანარჩენი 4 პრიორიტეტის დასაფინანსებლად გამოყოფილი სახსრების ჯამური ოდენობა 2025 წლის ბიუჯეტის გეგმური მაჩვენებლების 11.9%-ს შეადგენს და ცალკეული პრიორიტეტისათვის 0.8%-იდან 5.6%-მდე მერყეობს.

4.2 რესპუბლიკური ბიუჯეტის ასიგნებები

2025 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონპროექტის შესაბამისად, 2024 წლის რესპუბლიკურ ბიუჯეტთან მიმართებით, ასიგნებების შემცირება ფიქსირდება მხოლოდ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის შემთხვევაში. დაფინანსების მოცულობის ცვლილება დაკავშირებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის არჩევნებთან.

ცხრილი 9. ასიგნებების საპროგნოზო მაჩვენებლები (ათასი ლარი)

დასახელება	2024 წლის გეგმა	2025 წლის პირველადი გეგმა	2025 წლის გადამუშ. გეგმა	2024-2025 წწ. ზრდა/კლება	2024-2025 წწ. ზრდა/კლება (%)
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო	7,519.3	9,570.6	10,113.6	2,594.3	34.5%
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია	4,347.1	1,605.1	1,605.1	-2,742.0	-63.1%
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა	5,763.2	6,308.5	6,406.5	643.3	11.2%
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო	128,563.4	144,060.5	149,619.6	21,056.2	16.4%
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	142,621.7	151,000.0	154,000.0	11,378.3	8.0%
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	61,255.0	65,500.0	65,500.0	4,245.0	6.9%
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო	32,014.6	36,820.6	36,820.6	4,806.0	15.0%
საერთო დანიშნულების რესპუბლიკური გადასახდელები	382,615.8	435,234.8	456,034.6	73,418.8	19.2%
ჯამი:	764,700.2	850,100.0	880,100.0	115,399.8	15.1%

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს დაფინანსების მოცულობითი ზრდა ძირითადად დაკავშირებულია „სოციალური და სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფის პროგრამის“ ბიუჯეტის 13,000.0 ათასი ლარით ზრდასთან. პროგრამის ფარგლებში ქალაქ ბათუმში, მეჯინისწყლის დასახლებაში ხორციელდება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობა სოციალური და სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პროგრამებში 2024 წელთან მიმართებით 5,435.5 ათასი ლარით იზრდება „საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების“ ქვეპროგრამა. ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება

საჯარო სკოლების შენობების მშენებლობისა და არსებული შენობების სრული და ნაწილობრივი სარეაბილიტაციო სამუშაოები, მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა და სპორტული დარბაზების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები. ასევე შენობების აღჭურვა-მონტაჟი საჭირო ინვენტარით და ტექნიკით.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროგრამებში 1,000.0 ათასი ლარით იზრდება „მოსახლეობის ინდივიდუალური სამედიცინო დახმარების“ ქვეპროგრამა. მოსახლეობის ინდივიდუალური სამედიცინო დახმარების ქვეპროგრამით ხორციელდება განსაზღვრული სოციალური კატეგორიის მოსახლეობისათვის სხვადასხვა სამედიცინო მომსახურების დაფინანსება, რომელიც ვერ იფარება მოქმედი სახელმწიფო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამებით.

2025 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ - აჭარის სატყეო სააგენტოს ახალი პროგრამა „ტყის ფონდის ინვენტარიზაცია (ტყეთმომწყობა)“, რომლის ბიუჯეტი შეადგენს 1,000.0 ათას ლარს. პროგრამის ფარგლებში იგეგმება ტყის ფონდის ტერიტორიების ტოპოგრაფიული რუკების, ფოტოგრაფიული სქემების, გეგმების მომზადება, ბუნებრივი და ანთროპოგენური პროცესებით გამოწვეული ტყის ცვლილებების ტენდენციის შეფასება და სხვ.

„საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტით, საბაზო თანამდებობრივი სარგო 2024 წელთან შედარებით იზრდება 10%-ით და განისაზღვრება 1,460 ლარის ოდენობით, რაც უზრუნველყოფს საჯარო სექტორში დასაქმებულთა ხელფასების ზრდას ასევე 10%-ის ოდენობით. აღნიშნული ზრდა გათვალისწინებულია 2025 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტშიც.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების დაფინანსება 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის გეგმასთან მიმართებით იზრდება 11,941.5 ათასი ლარით. დაფინანსების ფარგლებში იგეგმება ქალაქ ბათუმის საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების მართვის ცენტრის, ქალაქ ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს არსებულ შენობაზე მიშენებისა და შპს „ბათუმის N1 პოლიკლინიკის“ მშენებლობის სამუშაოები, ქობულეთის ცენტრალური სტადიონის „ჩელე არენას“ რეაბილიტაციის სამუშაოები და სხვ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტებისათვის გადასაცემი ფინანსური დახმარების მოცულობა 2025 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტით 57,000.0 ათასი ლარით იზრდება, მათ შორის, კაპიტალური ფინანსური დახმარება იზრდება 64,345.5 ათასი ლარით, ხოლო სპეციალური ფინანსური დახმარება მცირდება 7,345.5 ათასი ლარით. ასიგნების ფარგლებში მუნიციპალიტეტებში იგეგმება სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელება. აღსანიშნავია, რომ რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტს არ ერთვის მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ნუსხა.

ცხრილი 10. მუნიციპალიტეტებისათვის გადასაცემი ფინანსური დახმარება (ათასი ლარი)


დასახელება	2023 წლის წლის ფაქტი	2024 წლის წლის გეგმა	2025 წლის წლის გეგმა	2024-2025 წწ. ზრდა/კლება	2024-2025 წწ. ზრდა/კლება (%)
მუნიციპალიტეტებისათვის გადასაცემი კაპიტალური ფინანსური დახმარება	119,876.1	160,393.9	224,739.4	64,345.5	40.1%
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი	65,274.0	89,008.1	132,341.0	43,332.9	48.7%
ქობულეთის მუნიციპალიტეტი	16,543.2	22,095.8	32,100.0	10,004.2	45.3%
ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი	14,666.0	21,100.0	30,124.5	9,024.5	42.8%
ქედის მუნიციპალიტეტი	6,754.9	7,150.0	7,150.0	0.0	0.0%
შუახევის მუნიციპალიტეტი	7,568.3	10,000.0	10,550.0	550.0	5.5%
ხულოს მუნიციპალიტეტი	9,069.7	11,040.0	12,473.9	1,433.9	13.0%
მუნიციპალიტეტებისათვის გადასაცემი სპეციალური ფინანსური დახმარება	86,697.5	127,393.6	120,048.1	-7,345.5	-5.8%
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი	68,550.8	112,991.9	99,659.0	-13,332.9	-11.8%
ქობულეთის მუნიციპალიტეტი	7,627.9	7,904.2	11,900.0	3,995.8	50.6%
ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი	3,311.8	1,062.5	2,038.0	975.5	91.8%
ქედის მუნიციპალიტეტი	1,575.3	1,100.0	2,100.0	1,000.0	90.9%
შუახევის მუნიციპალიტეტი	2,386.0	1,050.0	1,500.0	450.0	42.9%
ხულოს მუნიციპალიტეტი	3,245.7	3,285.0	2,851.1	-433.9	-13.2%
სულ მუნიციპალიტეტებისათვის გადასაცემი ფინანსური დახმარება	206,573.7	287,787.5	344,787.5	57,000.0	19.8%

4.3 კაპიტალური პროექტები

2025 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონპროექტზე თანდართულ კაპიტალური პროექტების დანართში წარმოდგენილი პროექტების გეგმების ჯამური ღირებულება 231,841.4 ათასი ლარია,² რაც 32,993.5 ათასი ლარით მეტია 2024 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. პროექტების დარგობრივი კლასიფიკაციის ანალიზით ვლინდება, რომ დაგეგმილი პროექტების ყველაზე მსხვილ კომპონენტებს განათლების (21.5%) და საგზაო ინფრასტრუქტურის (21.5%) განვითარების მიმართულებებით დაგეგმილი პროექტები წარმოადგენს. ოპტიმალური ფისკალური სივრცის არსებობის პარალელურად, მნიშვნელოვანია კაპიტალური დანახარჯების სტაბილური დონის განსაზღვრა და შენარჩუნება, რასაც არსებითი გავლენა აქვს რეგიონის ეკონომიკურ პოტენციალზე.

² კაპიტალურ ხარჯებში „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლთან ერთად შედის „სხვა ხარჯები“ და „კაპიტალური ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული“, ვინაიდან აღნიშნული მუხლებიდან განხორციელებული ტრანსფერები საბოლოო ჯამში წარმოადგენს კაპიტალურ ხარჯებს.

დიაგრამა 5. კაპიტალური პროექტების დანართში წარმოდგენილი პროექტების პროგნოზების დარგობრივი კლასიფიკაცია, თითოეული დარგის მოცულობა ნომინალურ ღირებულებაში (მლნ ლარი) და პროცენტული წილი - 2025 წ.



2025 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონპროექტის კაპიტალური პროექტების დანართის ანალიზისას გამოვლინდა შემდეგი სისტემური ხასიათის ნაკლოვანებები:

- 1) **საინვესტიციო/კაპიტალური პროექტისა და კაპიტალური ხარჯის გამოჯვნა** - 2025 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონპროექტზე თანდართულ კაპიტალური პროექტების დანართში ერთმანეთისგან არ არის გამოიჯვნეული საინვესტიციო/კაპიტალური პროექტი და კაპიტალური ხარჯი. მეთოდოლოგიის თანახმად, საინვესტიციო/კაპიტალური პროექტი გულისხმობს ახალი ინფრასტრუქტურის შექმნას ან არსებულის მნიშვნელოვან და არსებით გაუმჯობესებას. პროექტი მნიშვნელოვნად უნდა ზრდიდეს არსებული აქტივის შესაძლებლობებს ან წარმადობას, ან სიცოცხლის ხანგრძლივობას და აქტივის ფასს. არსებული აქტივების მოვლა-შენახვა, შეკეთება და თუნდაც კაპიტალური რეაბილიტაცია არ წარმოადგენს საინვესტიციო/კაპიტალურ პროექტს, თუ არსებითად არ იცვლება აქტივის როლი ეკონომიკურ საქმიანობაში;³
- 2) **პროექტების მთლიანი ღირებულება** – რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონპროექტზე თანდართულ კაპიტალური პროექტების დანართში წარმოდგენილი რიგი პროექტის ღირებულება განსხვავდება 2025 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონპროექტით განსაზღვრული დაფინანსების გეგმური პარამეტრებისგან. ასევე მომდევნო სამი წლის საპროგნოზო ინფორმაცია ფინანსური გაანგარიშების გარეშეა წარმოდგენილი;
- 3) **კაპიტალური პროექტის კონცეფციის ბარათის ნაკლოვანებები** – კაპიტალური პროექტების კონცეფციის ბარათში სრულყოფილად არ არის წარმოდგენილი მეთოდოლოგიით განსაზღვრული ინფორმაცია.

³ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 16 თებერვლის დადგენილება N65 „საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“, მუხლი 3, „ა“ და „ბ“ პუნქტები.

მნიშვნელოვანია, პროგრამების/ქვეპროგრამების განმახორციელებელმა უწყებებმა ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე გაითვალისწინონ პროექტის განხორციელების/მიმდინარეობის როგორც წინარე გამოცდილება, ასევე დასაგეგმი წლისათვის მოსალოდნელი აქტივობების მასშტაბი და აღნიშნულზე დაყრდნობით განსაზღვრონ მომდევნო წლისთვის საჭირო ფინანსური რესურსის მოცულობა, რათა ოპტიმალურად მოხდეს რესურსების გადანაწილება ბიუჯეტის დამტკიცების ეტაპზე.

5. რესპუბლიკური ბიუჯეტის სესხები

2025 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტით, რესპუბლიკური ბიუჯეტის სესხების მომსახურების და მიღებული სესხების დაბრუნების ხარჯების/ვალდებულებების კლების საპროგნოზო მოცულობა 25,240.7 ათას ლარს შეადგენს და 3,454.3 ათასი ლარით (15.9%-ით) აღემატება 2024 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.

რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონპროექტის მიხედვით, უცხოეთიდან მიღებული სესხების მომსახურების ხარჯი (პროცენტის ხარჯი) 2025 წელს, მიმდინარე წელთან შედარებით, 3,184.6 ათასი ლარით (154.8%-ით), ხოლო უცხოეთიდან მიღებული სესხების დაბრუნების გადასახდელი – 514.2 ათასი ლარით (3.6%-ით) იზრდება. უცხოეთიდან მიღებული სესხების პროცენტის ხარჯის მნიშვნელოვანი ზრდა უკავშირდება გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკიდან (KfW) მიღებული სესხის მომსახურებას.

ცხრილი 11. სესხების მომსახურების და მიღებული სესხების დაბრუნების საპროგნოზო მაჩვენებლები (ათასი ლარი)

კოდი	სესხის დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა	2025 წლის გეგმა	2024-2025 წწ. ზრდა/ კლება	2024-2025 წწ. ზრდა/ კლება (%)
09 06	სესხების მომსახურების ხარჯები	859.4	2,057.3	5,241.9	3,184.6	154.8%
09 06 01	გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკიდან (KfW) მიღებული სესხის მომსახურების ხარჯები	711.5	1,550.3	4,706.1	3,155.8	203.6%
09 06 02	ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან (EBRD) მიღებული სესხის მომსახურების ხარჯები	147.9	507.0	535.8	28.8	5.7%
09 08	უცხოეთიდან მიღებული სესხების დაბრუნება	8,155.6	14,484.6	14,998.8	514.2	3.6%
09 08 01	კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციისათვის (KfW) მიღებული სესხის დაბრუნება	6,742.0	12,963.8	13,402.0	438.2	3.4%
09 08 02	ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან (EBRD) მიღებული სესხის დაბრუნება	1,413.6	1,520.8	1,596.8	76.0	5.0%
09 10	სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული სესხის დაბრუნება	-	5,244.5	5,000.0	-244.5	-4.7%

6. რესპუბლიკური ბიუჯეტის პროგრამული ფორმატი

რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონპროექტზე თანდართული „პროგრამული ბიუჯეტის დანართი“ მოიცავს ინფორმაციას პრიორიტეტების ფარგლებში დაგეგმილი პროგრამების მოსალოდნელი შედეგებისა და შედეგების შეფასების ინდიკატორების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში გაუმჯობესდა პროგრამების/ქვეპროგრამების, მათი მოსალოდნელი შედეგებისა და შედეგების შეფასების ინდიკატორების შესახებ დანართში წარმოდგენილი ინფორმაციის ხარისხი, იგი ჯერ კიდევ საჭიროებს შემდგომ სრულყოფასა და დამატებით გაუმჯობესებას.

2025 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონპროექტის პროგრამული ბიუჯეტის დანართის ანალიზისას გამოვლინდა პროგრამების შემუშავების პროცესში არსებული შემდეგი სისტემური ხასიათის ნაკლოვანებები:

- 1) პროგრამის/ქვეპროგრამის ფარგლებში მოსალოდნელი შედეგების ფორმირების პროცესი – დანართში წარმოდგენილი 71 პროგრამიდან 25 პროგრამა (35.2%) არ არის ჩაშლილი ქვეპროგრამებად. საყურადღებოა, რომ ანალოგიური პროგრამები, ქვეპროგრამების გარეშე ფიქსირდება მიმდინარე წელსაც;
- 2) შუალედური და საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორების შემუშავება – პროგრამების/ქვეპროგრამების მოსალოდნელი შუალედური/საბოლოო შედეგების ინდიკატორების ნაწილი შეუსაბამოა მოსალოდნელ შუალედურ/საბოლოო შედეგთან ან საბოლოო შედეგი და გაზომვის ერთეული არაა შესაბამისი,⁴ რაც ანგარიშგების ეტაპზე გაართულებს აღნიშნული პროგრამების/ქვეპროგრამების ეფექტიანობის შეფასებას;
- 3) ცდომილების აღბათობისა და შესაძლო რისკების განსაზღვრა – პროგრამული ბიუჯეტის დანართში წარმოდგენილი ინდიკატორების 100%-ის შემთხვევაში არ ხდება ცდომილების აღბათობისა და შესაძლო რისკების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენა.

პროგრამული ბიუჯეტირების კუთხით არსებული ნაკლოვანებების ეტაპობრივი გამოსწორებისა და ამ მიმართულებით საბიუჯეტო ორგანიზაციების ანგარიშვალდებულების ამალგების მიზნით, მიზანშეწონილია გათვალისწინებულ იქნეს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაცია და ფორმალურად განისაზღვროს რეგიონში პროგრამული ბიუჯეტის დანერგვის სამოქმედო გეგმა, სადაც გაწერილი იქნება რეფორმის ფარგლებში განსახორციელებელი კონკრეტული აქტივობები, შესაბამისი ვადებითა და პასუხისმგებელი უწყებებით.

⁴ მაგალითად, პროგრამა „რეგიონში ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა“ (04 01 02), პროგრამა „ტურიზმისა და კურორტების სფეროს მართვა და დარგის ეფექტიანი განვითარების ხელშეწყობა“ (04 13 01), ქვეპროგრამა „სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი“ (05 06 03).